საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/22

ქ.ბათუმი 20 აპრილი, 2022 წელი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 06 აპრილის MES 5 22 0000356480 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 15 აპრილის MES 4 22 0000395855 15/04/2022 სამსახურებრივი ბარათის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 15 აპრილის N395840 სამსახურებრივი ბარათის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილების N1 დანართის (წესის) **პირველი მუხლის მე-3 პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,3. წინამდებარე წესის შესაბამისად წარმოდგენილი პროექტების განხორციელების მიზნით ბსუ-ს ბიუჯეტში გაითვალისწინება შესაბამისი თანხა, ხოლო ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმა და დაფინანსების ზღვრული ოდენობები (შემდეგში ,,ლიმიტი“).“.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).
3. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ. ბარათაშვილი**